ხელშეკრულება№35/შ008

ქ. თბილისი

8 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი კანდელაკის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მაგთიკომი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მაგთიფიქსის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირის მომსახურებისა და ერთი ერთეული ევდო მოდემის შესყიდვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. CPV – 64200000; CPV 30200000.

1.2. შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება დანართ №1-ში მოცემული დადგენილი ტარიფების და წესების შესაბამისად.

1.3. მაგთიკომი იღებს ვალდებულებას გაუწიოს აბონენტს მომსახურება (შემდგომში მომსახურება), დანართ №2-ში მოცემული მოდემების ნომრებზე. ხოლო აბონენტი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს გაწეული მომსახურებების საფასური ამ ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია მაგთიფიქსის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირის მომსახურების შესყიდვა USB მოდემის (შემდგომში “მოდემი”) საშუალებით, რომელსაც მაგთიკომი გადასცემს აბონენტს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში;

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 660 (ექვსას სამოცი) ლარს, დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით (შემსყიდველის შიდა შემოსავლების ასიგნება)

აქედან:

3.3 ერთი მოდემის მეშვეობით მომსახურების სისტემაში ჩართვის ღირებულება შეადგენს 165 (ასსამოცდახუთი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით). CPV- 30200000.

3.4 შემსყიდველის მიერ შესასყიდი მომსახურების ყოველთვიური (30 დღე) საფასური ერთი მოდემის მეშვეობით 45 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). CPV – 64200000

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს მხარეთა შორის შეთანხმებულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2012 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: მიმწოდებლის რადიოსატელეფონო მომსახურების დაფარვის ზონა.

5.3 შემსყიდველმა, მომსახურების სისტემაში ჩასართველად და შესყიდვის ობიექტის მისაღებად, თითოეული მოდემისათვის უნდა გადაიხადოს ჩართვის და მომსახურების ღირებულებები (ჩართვის და მომსახურების ტარიფები მოცემულია დანართ №1-ში);

5.4 ინფორმაციას მომსახურების პირობების, სახეების, წესების, ტარიფების ოდენობის, საფასურის გადახდის, დამრგვალების წესების შესახებ და აგრეთვე ნებისმიერი ცვლილების შესახებ, მიმწოდებელი ავრცელებს მის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის საკუთარ ოფისებში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინასწარ გადახდის პირობით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოუწეროს შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დავალიანების არსებობის შემთვევაში დროულად და სრულად გადაიხადოს იგი;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- წინასწარი შეტყობინებით დაადგინოს, გააუქმოს ან/და შეცვალოს მომსახურების სახეები, პირობები, წესები, მომსახურებების ღირებულებების ოდენობა, მათი გადახდის და დამრგვალების წესი;
- მოდემის ანგარიშზე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მაგთიკომის მიერ განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდგომ გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება;
- შეწყვიტოს ან შეაჩეროს მომსახურების მიწოდება თუ აბონენტს მაგთიკომის სხვა მოდემის ანგარიშზე ერიცხება დავალიანება.
- წინასწარი გადახდის სისტემის ბარათის კოდის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ოდენობით არასწორედ აკრეფვის შემთხვევაში შეწყვიტოს მომსახურება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

8.4 მომსახურების განახლების პირობები განისაზღვრება მაგთიკომის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალიწინებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან

გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, და მის დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე, მათ შორის მიუღებელ მოგებაზე, რომელიც შეიძლება განიცადოს შემსყიდველმა გარდა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისა.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2 მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძლეზე;

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა 8.3 აღნიშნული პირობებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს
აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: სიიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" მის: ქ. თბილისი, მ. ასათაიანის 9 ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა ბ/კ 220101222; ა/ა 200122900 ს/ კოდი: 211324351 გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ---------- გ. კანდელაკი	მიმწოდებელი: შპს. მაგთიკომი მის: ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.№5 საქართველოს ბანკის ც/ფ BAGAGE22 ა/ა № **GE66BG0000000241607901** ს/კოდი: 204876606 გენერალური დირექტორის მოადგილე ---------- გ. კოშორიძე

EVDO USB მოდემი
მაგთი ფიქსის მაღალსიჩქარიანი, უსადენო ინტერნეტი

მაგთი ფიქსის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის USB მოდემი ADU 520-A არის მოწყობილობა, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი იქ, სადაც მაგთი ფიქსის დაფარვის ზონა ვრცელდება. მოდემი მუშაობს CDMA 450 MHz სიხშირეზე და თავსებადია CDMA EVDO REV-A ტექნოლოგიასთან. ამ ტექნოლოგიით შეგიძლიათ ინფორმაცია ჩამოტვირთოთ 3.1 მეგაბიტამდე წამში სიჩქარით, და ატვირთოთ 1.8 მეგაბიტამდე წამში სიჩქარით.

ოპერაციულ სისტემებთან თავსებადობა და მოთხოვნები

მაგთი ფიქსის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის EVDO USB მოდემი ADU 520-A თავსებადია შემდეგ ოპერაციულ სისტემებთან:
Windows 2000
Windows XP (32 and 64 bit operating systems)
Windows Vista (32 and 64 bit operating systems)
Windows 7 საინსტალაციო დრაივერი
MAC OS (MAC OS 10.4 Tiger and MAC OS 10.5 Leopard) საინსტალაციო დრაივერი
MAC OS 10.6 Snow Leopard საინსტალაციო დრაივერი

მაგთი ფიქსის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მომსახურების პირობები და ტარიფები

- ქსელში ჩართვის ღირებულებაა 155 ლარი, EVDO USB მოდემი კი უფასოდ გადმოგეცემათ.
თუ მოდემი დაზიანდა თქვენივე მიზეზით, გთავაზობთ მის შეცვლას 60 ლარად.
- მაგთიკომი საშუალებას გაძლევთ, 48 საათის განმავლობაში საცდელ რეჟიმში ისარგებლოთ მოდემით და შეამოწმოთ, ხომ არ აქვს მოდემს რაიმე ტექნიკური წუნი, ან მუშაობს თუ არა თქვენთვის სასურველ ადგილას. თუ ვერ ისარგებლებთ მოდემით, ქსელში ჩართვიდან 48 საათის გასვლამდე შეგიძლიათ დაგვიბრუნოთ იგი, გადახდილი 155 ლარიდან კი 150 ლარი დაგიბრუნდებათ.
- ინტერნეტით 30-დღიანი სარგებლობისათვის გთავაზობთ, აირჩიოთ მომსახურების ორი პაკეტიდან სასურველი:

აქტივაციისას იხდით 45 ლარს.
მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით ისარგებლებთ, სანამ თქვენ მიერ მოხმარებული გიგაბაიტების რაოდენობა არ მიაღწევს 5 GB-ს. ამის შემდეგ, 30-დღიანი ვადის გასვლამდე ისარგებლებთ დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით.

დანართი №2

მოდემის ნომერი: 88123475